ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ჯუმბერ ბერძენიშვილს
მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერიას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" 2026 წლის 28 მაისის #17 (რეგისტრაცია #გ-47.47261482) განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ" და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი" ქვეპუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მერის წარდგინებით, საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

განკარგულების პროექტი, ასევე შესაბამისობაშია ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებასთან.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს და გთხოვთ, განიხილოთ საკრებულოს სხდომაზე.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი ვალერი ყაჭეიშვილი.

პატივისცემით,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი მინდია ჟღერია